სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 7 20 0001047729

28/10/2020

„პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა მინისტრის MES 0 20 0001013251 20/10/2020 ბრძანების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020-2021 სასწავლო წლის №01-09-14/2287 21.09.2020; №01-09-14/2641 01.10.2020 და №01-09-14/3064 22.10.2020 ბრძანებებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის (ქ. თბილისში) სასწავლო პროცესი 2020 წლის 29 ოქტომბრიდან წარიმართოს შერეული სწავლების ფორმით:

ა) პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობები, რომელთა პროცესში სტუდენტების მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენს წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში;

ბ) სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტები (თეორიული ნაწილი) წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).

3. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.#64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე